დანართი 2

სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტი

<u>დამტკიცებულია:</u>

<u>19/12/2017 წელი</u>

აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

თბილისი
2017

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1 აფილირების წესი არეგულირებს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში (შემდგომში - სდასუ) აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს, ადგენს აფილირებასთან დაკავშირებულ აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1 აფილირება - სდასუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და აკადემიურ პერსონალს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც აკადემიური თანამდებობის მქონე პირი:

2.1.1 თავის აფილირებას განსაზღვრავს სდასუ-სთან.

2.1.2 სდასუ-ს სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში.

2.1.3 სდასუ-ში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას.

2.1.4 მისი კვლევები ეთვლება სდასუ-ს.

2.1.5 აქტიურად არის ჩართული სდასუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2.1.6 აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესში.

2.2 აფილირებული აკადემიური პერსონალი – აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელსაც სდასუ-სთან აქვს გაფორმებული „ა“ და/ან ,,ბ''კონტრაქტის ხელშეკრულება;

2.3 „ა“ და/ან „ბ” კონტრაქტის ხელშეკრულება – წერილობითი შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია სდასუ-სა და მის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის და განსაზღვრავს აფილირებასთან დაკავშირებულ მხარეების უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 3. აფილირების წესი და პირობები

3.1 სდასუ-ს აფილირებულ აკადემიურ პერსონალად ჩაითვლება პირი, რომელიც გააფორმებს უნივერსიტეტთან „ა“და/ან „ბ“კონტრაქტის ხელშეკრულებებს (დანართი 1);

3.2 უნივერსიტეტი განუსაზღვრავს აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ყოველსემესტრულ ინდივიდუალურ დატვირთვას, რომელიც აისახება დატვირთვის სქემაში. დატვირთვის სქემაში აისახება პერსონალის დატვირთვა სხვა უსდ-ში/უსდ-ებში (დანართი 2);

3.3 აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია წერილობით აცნობოს ინფორმაცია სდასუ-ს, მისი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ პერსონალად არჩევის ან მოწვევის შესახებ;

3.4 აფილირებული აკადემიური პერსონალი ყოველი ახალი სემესტრის დაწყებამდე ვალდებულია წერილობით შეუთანხმოს სდასუ-ს და დოკუმენტურად დაადასტუროს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური/სამეცნიერო (მათ შორის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობა) დატვირთვის მაჩვენებელი.

3.5 აფილირების წესის დარღვევა ავტომატურად იწვევს აფილირების ხელშეკრულების მოშლას;

3.6 უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას შეუქმნას აფილირებულ აკადემიურ პერსონალს შესაბამისი პირობები და იზრუნოს მის განვითარებაზე.

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის აფილირების წესის მიღება და ამოქმედება

4.1 აფილირების წესს შეიმუშავებს და ამტკიცებს სდასუ-ს აკადემიური საბჭო, რის შემდეგაც ხელს აწერს და აქვეყნებს სდასუ-ს რექტორი.

4.2 მასში ნებისმიერი ცვლილება-დამატების პროექტი არანაკლებ ორი კვირით ადრე, წარედგინება აფილირებულ აკადემიურ პერსონალს გასაცნობად, შენიშვნების და წინადადებების შესატანად.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1 ურთიერთობები, რომლებიც არ აისახა აფილირების წესში და შრომით ხელშეკრულებაში, მოწესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით.

5.2 კონტროლს დასაქმებულთა მხრიდან აფილირების წესის დაცვაზე ახორციელებს სდასუ-ს რექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირები.

დანართი 1

ს დ ა ს უ
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
აკადემიური პერსონალის აფილირების ხელშეკრულება **#**

ქ. თბილისი ,,_____,, ,,_____,, 201 წ.

ერთის მხრივ, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, თეიმურაზ ქორიძე (შემდგომში დამსაქმებელი) და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში დასაქმებული) ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დამსაქმებელი სამუშაოდ იღებს დასაქმებულს აფილირებული _____ აკადემიურ თანამდებობაზე.
1.2 აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და აკადემიურ პერსონალს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც აკადემიური თანამდებობის მქონე პირი თავის აფილირებას განსაზღვრავს სდასუ-სთან: სდასუ-ს სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში; სდასუ-ში ახორციელებს ძირითად სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას; მისი სამეცნიერო პუბლიკაციები (სტატიები/ წიგნები/მონოგრაფიები, სამეცნიერო კონფერენციის მასალები და ა.შ.) ქვეყნდება სდასუს სახელით; აქტიურად არის ჩართული სდასუ-ში სასწავლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
1.3 სასწავლო საქმიანობა გულისხმობს პროგრამის განვითარებაზე ზრუნვას, მონაწილეობას საგანმანათლებლო პროგრამის /პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების პროცესებში; სააუდიტორიო დატვირთვას, სასწავლო/საგამოცდო მასალების მომზადებას, ნაშრომების შემოწმებას, სასწავლო კურსის სილაბუსის შემუშავება-განახლებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, სტუდენტების უზრუნველყოფას თანამედროვე სასწავლო რესურსებით (სახელმძღვანელო, საკითხავი მასალა და სხვ.); საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა/რეცენზირებას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელობას; სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევას სასწავლო და სამეცნიერო - კვლევით საკითხებთან დაკავშირებით, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას და სხვა აქტივობებს, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად.
1.4 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა გულისხმობს სამეცნიერო კვლევების, საგრანტო პროექტების მომზადებასა და განხორციელებას; სამეცნიერო სტატიების, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების მომზადებასა და გამოქვეყნებას, რედაქტირებას, რეცენზირებას, თარგმნას; კვლევებში სტუდენტების ჩართვას და მათ ხელმძღვანელობას; სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა/რეცენზირებას; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზების პროცესში ჩართულობას და სხვა აქტივობებს, რაც ადასტურებს პირის მონაწილეობას სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში.
1.5 გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა გულისხმობს სკოლისა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების, სადისერტაციო საბჭოსა და დროებითი კოლეგიური ორგანოების (კომისია) მუშაობაში მონაწილეობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ჩართულობას და სხვა სახის აქტივობებს, რაც აუცილებელია უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2. დამსაქმებლის უფლება-მოვალეობები

2.1 დამსაქმებელი ვალდებულია:
ა) დასაქმებულს შეუქმნას მისი საქმიანობისთვის შესაბამისი სამუშაო პირობები და გარემო;
ბ) დასაქმებულს ხელი შეუწყოს მის პროფესიულ განვითარებაში;
გ) აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და შინაგანაწესით დადგენილ ვადებში;
დ) შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები.
2.2. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით, ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი და დროული შესრულება;
ბ) მოსთხოვოს დასაქმებულს ინფორმაცია მისი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დატვირთვის შესახებ;
გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტების საფუძველზე წაახალისოს დასაქმებული;
დ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტების ან ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენოს დასაქმებულის მიმართ დისციპლინური სანქციები.
ე) დამსაქმებელი სარგებლობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

მუხლი 3. დასაქმებულის უფლება–მოვალეობები

3.1 დასაქმებული ვალდებულია:
ა) აფილირების ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს, რომ გაეცნო უნივერსიტეტის დებულებას, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესს და აღიარებს მათ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
ბ) კეთილსინდისიერად შეასრულოს მისთვის დაკისრებული ფუნქციები;
გ) მისცეს სტუდენტს ხარისხიანი განათლება;
დ) დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი და მუდმივად იზრუნოს მისი რეპუტაციის ამაღლებაზე;
ე) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას;
ვ) მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში;
ზ) წარმოუდგინოს დამსაქმებელს ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაცია მისი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დატვირთვის შესახებ;
თ) შეასრულოს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვრთვის წესით გათვალისწინებული აფილირებული პერსონალისათვის დადგენილი სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა და სხვა ვალდებულებები;
ი) ყოველი წლის ბოლოს წარმოადგინოს ანგარიში სამეცნიერო საქმიანობის შესახებ;
კ) დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები.
ლ) განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით მისთვის დაკისრებული სხვა ვალდებულებები;
3.2 დასაქმებულს უფლება აქვს:
ა) მოითხოვოს დამსაქმებლისაგან შრომის ნორმალური პირობების შექმნა ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად;
ბ) მოითხოვოს დამსაქმებლისაგან შრომის ანაზღაურება დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად;
გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი პირობებით ისარგებლოს დასვენებითა და შვებულებით;
დ) დასაქმებული სარგებლობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

მუხლი 4. შრომის ანაზღაურების პირობები

4.1 დასაქმებულის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის დამსაქმებელი თვეში უხდის _____ ლარს;

4.2 დასაქმებულის მხრიდან ზეგანაკვეთური საკონტაქტო საათების შესრულების შემთხვევაში, ზეგანაკვეთურ სამუშაოს დამსაქმებელი დასაქმებულს აუნაზღაურებს საათობრივი ანაზღაურების წესით.

მუხლი 5. შვებულება

5.1 კალენდარული წლის განმავლობაში დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით არანაკლებ 24 (ოცდაოთხი) სამუშაო დღე. მას ასევე უფლება აქვს ისარგებლოს შვებულებით ანაზღაურების გარეშე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე შრომითი ხელშეკრულება ძალაშია 20 ___ წლის _____ დან 20 ____ წლის _____ ჩათვლით.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 დასაქმებულის მიერ ხელშეკრულების, უნივერსიტეტის შიდამარეგულირებელი აქტების დარღვევის შემთხვევაში, დამსაქმებელს უფლება აქვს დააყენოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

7.2 დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი ან არადროული შესრულების შემთხვევაში, დასაქმებულს უფლება აქვს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.3. მხარეები, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ერთმანეთს წერილობით აცნობებენ ერთი თვით ადრე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან;

8.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილება/დამატება განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

მხარეთა რეკვიზიტები

დამსაქმებელი: უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი თეიმურაზ ქორიძე	დასაქმებული:
.....	----------
(ხელმოწერა)	(სახელი, გვარი)
	.....
	(მისამართი)

	(პირადი ნომერი)

	(ხელმოწერა)

კონტრაქტი „ბ“

ს დ ა ს უ
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
აკადემიური პერსონალის აფილირების ხელშეკრულება #

ქ. თბილისი ,,_____,, ,,_____,, 20 წ.

ერთის მხრივ, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, თეიმურაზ ქორიძე (შემდგომში დამსაქმებელი) და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში დასაქმებული) ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დამსაქმებელი სამუშაოდ იღებს დასაქმებულს აფილირებული _____ აკადემიურ თანამდებობაზე.

1.2 აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და აკადემიურ პერსონალს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც აკადემიური თანამდებობის მქონე პირი თავის აფილირებას განსაზღვრავს სდასუ-სთან: სდასუ-ს სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში; სდასუ-ში ახორციელებს ძირითად სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას; მისი სამეცნიერო პუბლიკაციები (სტატიები/ წიგნები/მონოგრაფიები, სამეცნიერო კონფერენციის მასალები და ა.შ.) ქვეყნდება სდასუს სახელით; აქტიურად არის ჩართული სდასუ-ში სასწავლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

1.3 სასწავლო საქმიანობა გულისხმობს პროგრამის განვითარებაზე ზრუნვას, მონაწილეობას საგანმანათლებლო პროგრამის /პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების პროცესებში; სააუდიტორიო დატვირთვას, სასწავლო/საგამოცდო მასალების მომზადებას, ნაშრომების შემოწმებას, სასწავლო კურსის სილაბუსის შემუშავება-განახლებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, სტუდენტების უზრუნველყოფას თანამედროვე სასწავლო რესურსებით (სახელმძღვანელო, საკითხავი მასალა და სხვ.); საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა/რეცენზირებას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელობას; სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევას სასწავლო და სამეცნიერო - კვლევით საკითხებთან დაკავშირებით, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას და სხვა აქტივობებს, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად.

1.4 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა გულისხმობს სამეცნიერო კვლევების, საგრანტო პროექტების მომზადებასა და განხორციელებას; სამეცნიერო სტატიების, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების მომზადებასა და გამოქვეყნებას, რედაქტირებას, რეცენზირებას, თარგმნას; კვლევებში სტუდენტების ჩართვას და მათ ხელმძღვანელობას; სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა /რეცენზირებას; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზების პროცესში ჩართულობას და სხვა აქტივობებს, რაც ადასტურებს პირის მონაწილეობას სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში.

1.5 გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა გულისხმობს ფაკულტეტის და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების, სადისერტაციო საბჭოსა და დროებითი კოლეგიური ორგანოების (კომისია) მუშაობაში მონაწილეობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ჩართულობას და სხვა სახის აქტივობებს, რაც აუცილებელია უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2. დამსაქმებლის უფლება-მოვალეობები

2.1 დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) დასაქმებულს შეუქმნას მისი საქმიანობისთვის შესაბამისი სამუშაო პირობები და გარემო;

ბ) დასაქმებულს ხელი შეუწყოს მის პროფესიულ განვითარებაში;

გ) აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და შინაგანაწესით დადგენილ ვადებში;

დ) შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

2.2. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით, ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი და დროული შესრულება;

ბ) მოსთხოვოს დასაქმებულს ინფორმაცია მისი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დატვირთვის შესახებ;

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტების საფუძველზე წაახალისოს დასაქმებული;

დ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტების ან ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენოს დასაქმებულის მიმართ დისციპლინური სანქციები.

ე) დამსაქმებელი სარგებლობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

მუხლი 3. დასაქმებულის უფლება–მოვალეობები

3.1 **დასაქმებული ვალდებულია:**

ა) აფილირების ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს, რომ გაეცნო უნივერსიტეტის დებულებას, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესს და აღიარებს მათ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

ბ) კეთილსინდისიერად შეასრულოს მისთვის დაკისრებული ფუნქციები;

გ) მისცეს სტუდენტს ხარისხიანი განათლება;

დ) დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი და მუდმივად იზრუნოს მისი რეპუტაციის ამაღლებაზე;

ე) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას;

ვ) მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში;

ზ) წარმოუდგინოს დამსაქმებელს ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაცია მისი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დატვირთვის შესახებ;

თ) ყოველი წლის ბოლოს წარმოადგინოს ანგარიში სამეცნიერო საქმიანობის შესახებ;

ი) დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები;

კ) განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდამარეგულირებელი აქტებით მისთვის დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

3.2 **დასაქმებულს უფლება აქვს:**

ა) მოითხოვოს დამსაქმებლისაგან შრომის ნორმალური პირობების შექმნა ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად;

ბ) მოითხოვოს დამსაქმებლისაგან შრომის ანაზღაურება დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად;

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესით დადგენილი პირობებით ისარგებლოს დასვენებით;

დ) დასაქმებული სარგებლობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდამარეგულირებელი აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

მუხლი 4. შრომის ანაზღაურების პირობები

4.1 დამსაქმებელი დასაქმებულს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის გადაუხდის ხელფასს ყოველთვიურად საათობრივი ანაზღაურების წესით საათში _____ ლარის ოდენობით.

4.2 დასაქმებულს დამატებით აუნაზღაურდება შესრულებული სამუშაო აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესის დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. წინამდებარე შრომითი ხელშეკრულება ძალაშია 20 ___ წლის _____ დან 20 ____ წლის _____ ჩათვლით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1 დასაქმებულის მიერ ხელშეკრულების, შიდამარეგულირებელი აქტების დარღვევის შემთხვევაში, დამსაქმებელს უფლება აქვს დააყენოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

6.2 დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი ან არადროული შესრულების შემთხვევაში, დასაქმებულს უფლება აქვს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6.3. მხარეები, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ერთმანეთს წერილობით აცნობებენ ერთი თვით ადრე.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან;

7.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილება / დამატება განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

მხარეთა რეკვიზიტები

დამსაქმებელი: უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი თეიმურაზ ქორიძე	დასაქმებული:
----------	----------
(ხელმოწერა)	(სახელი, გვარი)

	(მისამართი)

	(პირადი ნომერი)

	(ხელმოწერა)

<u>დანართი 2</u>

20___- 20__ სასწავლო წლის _____სემესტრის

აკადემიური აფილირებული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის სქემა

სდასუ	სხვა უსდ/ები

ხელმოწერა

თარიღი